# კავკასიური რასის წვლილი მსოფლიო ცივილიზაციაში



ქართულ და ინგლისურ ენებზე

ავტორი
რევაზ გაბაშვილი

თბილისი 2001

REVAZ GABASHVILI

# CONTRIBUTION OF THE CAUCASIAN RACE TO WORLD CIVILIZATOIN

*In Georgian and English*

Tbilisi
2001

*"ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის,*
*ეს განწირულის სულისკვეთება,*
*და გზა უვალი, შენგან თელილი,*
*მერანო ჩემო, მაინც დარჩება".*

*ნიკოლოზ ბარათაშვილი*

## მთარგმნელისაგან

რევაზ გაბაშვილის კავკასიური რასის წვლილი მსოფლიო ცივილიზაციაში ქართული რედაქციისა და გამოცემისათვის მოსამზადებლად გადმომცა ბატონმა ამირან ცამციშვილ-ფიცხალაურმა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ, რამეთუ ჩვენი საზოგადოება მსგავსი ნაშრომების ნაკლებობას განიცდის, რის გამოც მოკლებული ვართ საკუთარი ენისა და კულტურის დიდებულების წვდომას.

ეს მცირე ზომის "წიგნაკი" ავტორის 25-30 წლიანი დაუღალავი შრომის შედეგად დაწერილი სქელტანიანი ნაშრომის მცირედი გამონაწვლილია, რომელიც დასკვნების სახით ქანდაკისამებრ ჩამოქნის კავკასიური (წაიკითხე *ქართული*) რასის უზომოდ დიდ წვლილს მსოფლიო ცივილიზაციის განვითრებაში - საკითხი, რომელიც უკვე კარგია ხანია ტაბუირებულ თემატიკას მიაკუთვნეს და ამ სფეროში შესრულებულ ნაშრომებს, უკეთეს შემთხვევაში, დამცინავი ღიმილით ხვდებიან.

ტექსტის წაკითხვისთანავე მისი ინგლისურ ენაზე თარგმნის სურვილი დამებადა, რათა ქართული მეცნიერული სამყაროს გარდა, დასავლურ სამყაროსაც ჰქონდეს საშუალება გაეცნოს ქართული ენისა და კულტურის მეჭირისუფლე მკვლევარის ხანგრძლივი, დაუღალავი შრომის ნაყოფს. პარალელურად, თარგმანის მიზანია მცირედ მაინც ამოავსოს დასავლურ ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ქართველური ენებისა და კულტურის მეცნიერული კვლევის სფეროში არსებული ლიტერატურის ინგლისურენოვანი თარგმანების სიმცირე, დააინტერესოს დასავლეთის მეცნიერება აღნიშნული საკითხებით და იქნებ ვინმეს დაებადოს კიდეც სურვილი მთელი ნაშრომის ინგლისურად თარგმნისა. აქვე შევნიშნავ, რომ ბატონ რეზოს ამ ნაშრომის ქართულად თარგმნაც ძლიერ დაამშვენებდა ქართულ მეცნიერულ აზროვნებას.

დარწმუნებული ვარ, ამ "წიგნაკის" ორენოვანი გამოცემა ხელს შეუწყობს არა მარტო პრეისტორიული ცივილიზაციების განვითარებაში ქართველური ფენომენის როლის გამოაშკარავებას, არამედ ბიძგს მისცემს მთელი რიგი ენობრივი თუ კულტურული საიდუმლოებებით მოცული ასპექტების გახსნას ახალი მიდგომის, ახალი მეთოდიკის მომარჯვებით, რომელსაც ქართველური ენები, უფრო ფართოდ

კი იბერიულ-კავკასიური ენები, მათი ხალხები და მათი კულტურა სთავაზობს მსოფლიო მეცნიერებას.

ბატონ რ. გაბაშვილის მიერ დაწერილი წინასიტყვაობა უცვლელად დავტოვე. ვფიქრობ, ქართველი მკითხველი სამშობლოს მოცილებული, მაგრამ სამშობლოზე მზრუნავი ქართველი მამულიშვილის ხმას ასე უფრო ძალუმად შეიგრძნობს. რაც შეეხება ავტორისეულ ქართულ ხელნაწერს, იგი სალიტერატურო ენის მოთხოვნების შესაბამისად დამუშავდა, თუმცა შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად ვეცადე ავტორის ტექსტის შენარჩუნებას. "წიგნაკის" ფრანგულ ორიგინალში დაშვებული ზოგიერთი უზუსტობა გასწორდა და სქოლიოებში შესაბამისი მითითებებია გაკეთებული.

დასასრულ, დიდი მადლიერების გრძნობით მსურს მოვიხსენიო თბილისის დასავლურ ენებისა და კულტურის უნივერსიტეტის ფრანგული ენის კათედრის უფროსი მასწავლებელი ეთერი ვასილის ასული ხეთაგური, რომელმაც უსასყიდლოდ გაიღო თავისი დრო, ცოდნა და ენერგია ქართული ტექსტის ფრანგულ დედანთან შეჯერებაში.

მსურს მადლობა გადავუხადო ქ. სტამბულის იშიკის უნივერსიტეტის ინგლისური ენის განყოფილების კოორდინატორს მაიკლ ფილდს თარგმანის საბოლოო ვარიანტის დახვეწაში შეტანილი დახმარებისათვის.

ასევე, არ შემიძლია ქედი არ მოვიხარო ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, დოცენტ გიორგი ილიას ძე გრიგოლაშვილის უანგარო, თავდადებული თანადგომა-დახმარებისათვის წინამდებარე ნაშრომის დიზაინ-პროექტის შექმნისა და კომპიუტერული დაკაბადონებისათვის უაღრესად შეზღუდულ დროში.

*ანა მესხი*
*ფილ. მეცნ. კანდ.*

*აგვისტო, 2000*
*სტამბული*

## TRANSLATOR'S NOTE

I am deeply grateful to Professor Amiran Tsamtsishvili-Pitskhalauri who gave me Revaz Gabashvili's ***Contribution of the Caucasian Race to World Civilization*** to prepare for publication. Our society experiences a great lack of such literature and therefore is deprived of the possibility to perceive the glory of our own language and culture.

This booklet is the epitome of a sizable work that took 25-30 years of persistent labor. It contains only the author's conclusions gradually carving up the immeasurably great contribution of the Caucasian race (resp. *Georgian*) to the development of world civilization. This issue has long been attributed to taboo issues and papers executed in this field have at best been met with a derisive smile.

Upon reading the text I had an instant desire to translate it into English, so that, besides the Georgian scholarly world, the West could also have the opportunity of getting acquainted with the work of a scholar who had unceasingly and untiringly cared about his language and culture. At the same time the goals of the translation are: to, at least, slightly fill the gap existing in the sphere of western humanities that has been created by lack of English translations of scientific papers that have been done within the field of Kartvelian languages and culture. Apart from this, I hope, it will increase awareness of the western scholarly world in these problems and eventually lead someone to the decision to translate the work into English. In this context I would also like to remark that the translation of Mr. Gabashvili's work into Georgian would also beautify Georgian scientific thinking.

I am convinced that the publication of this booklet in two-languages will help to reveal the role of the Kartvelian phenomenon in the development of world civilization and will also stimulate the decipherment of a number of cultural and language enigmas through a new approach, a new methodology which is offered by Kartvelian, and more generally, by Ibero-Caucasian languages, their people and their culture.

Except for some inexactitude in language the preface written by the author has been left unaltered. This way, I believe, the reader will get a more intense feeling of the voice of a man torn away from but constantly thinking and caring about his homeland. As to the author's Georgian manuscript, it has been changed according to the requirements of the Georgian literary language, though within permissible limits I tried to retain the original text. Some of the printing errors made in the French original are corrected and respective notes are made in the footnotes.

In the end, I would like to thank Eteri Khetaguri, a Senior Teacher at the Tbilisi University of Western Languages and Culture, who freely devoted her time, energy and knowledge to the

comparison of the Georgian version of the text with the original manuscript.

My thanks are also due to Michael Fields, a Freshmen Coordinator at Isik University, Istanbul for his help in the preparation of the final version of the English translation.

It is with a feeling of great appreciation that I would like to thank Giorgi Grigolashvili, Candidate of Technical Sciences, Docent, for his disinterested support and dedicated assistance in creating the design and page-making of the present work in a surprisingly short period of time.

***Anna Meskhi***
***Ph.D.***

***August 2000***
***Istanbul***

*"გონების ნაწარმოები იმისთანა მადლიანი რამ არის,*
*რომ მთელის კაცობრიობის კუთვნილებას შეადგენს."*

*ილია*

## <u>რედაქტორისაგან</u>

მსოფლიოს თითქმის ყველა რასის, დიდი და პატარა ერის თუ ტომის ჰუმანიტარი მეცნიერები შეძლებისამებრ ცდილობენ წარმოაჩინონ საკუთარი ხალხის სულ მცირე დამსახურება და წვლილი, რომელიც მათ შეუტანიათ მსოფლიო კულტურასა და ცივილიზაციაში. ამ ფრიად მნიშვნელოვანი ღირებულების პრობლემებზე მეტ-ნაკლები ინტენსიურობით მუშაობდნენ ქართველი ისტორიკოსებიც, მათ შორის უცხოეთში მოღვაწე მეცნიერებიც, რომელთა შორის განსაკუთრებული გულმოდგინებით გამოირჩეოდა ცხონებული ემიგრანტი ბ-ნი რევაზ გაბაშვილი, რომელიც პარიზში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

ქართული კულტურული ემიგრაციის შესანიშნავ წარმომადგენლებზე ჩვენი პუბლიკაციებისთვის, როგორც ჩანს, თვალი უდევნებია ბ-ნ რ. გაბაშვილს, რომლისგანაც 1968 წელს მივიღეთ სოლიდური კაპიტალური ხელნაწერი ნაშრომის შესავალი, დასკვნათა 18 გვერდიანი ილუსტრირებული ამონაკვეთი და გულისხმიერი წერილი, რომელშიც ბ-ნი რევაზი ოქროს 2 აგურს მთხოვდა მისი წიგნის გამოსაცემად (დედანი იხ. სახ-ფო არქივში. ა.ც.). ცხადია, მისი თხოვნა ვერ შევასრულე და მიზეზიც ვაცნობე. საბედნიეროდ, მას უჩემოდ მოუხერხებია ნაშრომის გამოქვეყნება და დიდი ინტერესი, შეფასება და დადებითი რეცენზიებიც დაუმსახურებია.

ქვემოთ მოტანილი ბროშურა რ. გაბაშვილის მიერ ფრანგულად შედგენილი და 1967 წელს გამოქვეყნებული რეკლამაა წინასიტყვაობითა და დასკვნებით, რომელიც ბ-ნმა რევაზმა გამომიგზავნა 1968 წელს ქართული თარგმანითურთ. მას მერე ბევრჯერ ვცადე მისი გამომზეურება, მაგრამ ამაოდ. პარტიულ და საცენზურო ბიუროკრატიას ეშინოდა, ვაი თუ...სინამდვილეში კი, როგორც დარწმუნდებით, წარმოდგენილი ნაკვეთი უვნებელი წმინდა ძველი ისტორიაა, რომელშიც ნაწილი ცნობილი და დაბეჭდილია, მაგრამ არის ზოგი ჩვენთვის საინტერესო უცნობი მასალა და თითო-ოროლა ნიუანსი, მაგალითად მესოპოტამიურ (*ბაბა-ნუნუს*) ცივილიზაციაზე *მტკვარ-არაქსის* ცივილიზაციის პრიორიტეტობა, *ბაბილონ-კარდუხიას* იდენტიფიკაცია, ღმერთ *ქალდუს* ქალობა, კიპრის და კრეტის თავდაპირველ სახელებად *ქავთარა*-ს და *ალაზია*-ს მიჩნევა, *ლესბოსი*-სად კი - *ლაზბა*; ციკლოპური ციკურატები, გამოქვაბულები, მითანელი *კიკულია* - ცხენთა პირველი მწვრთნელი და ტოპონიმთა იდენტურობა.

ცხონებულ ბ-ნ რ. გაბაშვილისეული ზოგიერთი უძველესი სიტყვა-ტერმინი ჩვენი კვლევა-ძიებით არქეტიპში უნდა იყოს: ბაბილონის უბნის სახელი *ხილა - ხუილა, აბისარი - აპიზარი, კუდურ-მაგუბი - კუთურ-მაგუბ/მაკუბა, ნინ-გირსუ - ნინ-ხირსუ/ნინა-ხურზუ, ენეტარზი - ენათარსი, რუზა/რუსა/როზა, უაისი - [კ]უაისი, ჰუბუშკია=ჰუბუშ+კუია, ალაბრია - კალაბრია, ხურა - (ა)ხურა* და სხვ. ხოლო ეთნონიმი *ხურიტი,* იგივე *ქურიტი/ხურითი/ჰურიტი/კურიტია* დაფუძნებულ-აღმოცენებულია *ხურვა, ცხელება, ხურო, ჰურო, ურო, მ-ხურვალე, ხურია/ჰურია*-დან.

რ. გაბაშვილის ეს ნაშრომი ცალკე გამოცემაა, განმარტებული და კომენტირებული ილუსტრაციებით. შეგვიძლია დაინტერესებულ სპეციალისტებს გავაცნოთ მისი ფრანგული დედანი.

ბ-ნ რ. გაბაშვილის სოლიდური ნაშრომის ამ ერთ პატარა წინამდებარე მონაკვეთის გამოქვეყნებას საერთაშორისო მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ბატ. არძინბა და მისი სეპარატისტული ხროვა მაქსიმალურად იჭაჭება მსოფლიო პრესის მეოხებით მთელს დუნიაზე გაავრცელონ მოჭორილი, ფანტასტიკური ზღაპრები აფსუა ხალხის უძველეს, ათასწლეულებიდან მომდინარე აბორიგენობაზე *აპ-ხარზანეთში* და მათი სახელმწიფოებრიობის 3500 წლის იუბილისადმი სამზადისი, რაც განტვილულ, უმეცარ სოხუმელ ვაი პოლიტიკანებს და მათ დამქაშ ბანდიტებს განუზრახავთ, რისთვისაც ურცხვად და თაღლითურად ცდილობენ გამოიყენონ *თიფიელი* ანუ *ტიბარენელი ჭან-ლაზ-ზანების* მეფე *პიხუნიას* ისტორიული ბიოგრაფია.

აფსუების იდეოლოგთა შიზოფრენულ, ლაყე კონცეფციას მტკიცე მეცნიერული საბუთიანობით აქარწყლებს ბ-ნ რ. გაბაშვილის წინამდებარე ნაშრომი ნაამაგდარი.

*ამირან ცამციშვილ-ფიცხალაური.*

*"A creation of the mind is such a virtue that belongs to the whole of mankind."*

***Ilia***

## EDITOR'S NOTE

Humanitarian scholars of all races, big and small nations or tribes have always tried according to the possibilities offered to put forward the slightest evidence that their people contributed to world culture and civilization. Georgian scholars have also worked on these problems with a certain intensity, among them are those working abroad and emigrant Revaz Gabashvili, who lived and worked in Paris, certainly stands out with special intensity.

Mr. Gabashvili must have followed our publications on excellent representatives of Georgian cultural emigration for in 1968 I received a short, 18 page long illustrated booklet of the conclusions drawn in his sizable work. The booklet was accompanied by a warm letter in which Mr. Gabashili asked me for two nuggets of gold for the publication of his book (the original is in the State Archive, A.Ts.). It goes without saying that I failed to fulfill his request and informed him of the obstacles lying in my way. Fortunately, he managed to publish his work on his own and the reaction was that of great interest, assessment and positive reviews.

The booklet presented below is the advertising brochure published in 1967 compiled by the author in French and containing his preface and conclusions. It was sent to me together with its Georgian translation by R. Gabashvili in 1968. Since then I have often tried to publish it but in vain, Party and censor red-tape were afraid if...But in fact, as the reader will make sure, the presented piece is harmless pure history, partly known and published, but partly containing some such material or nuances that have been unknown to us, e.g. the priority of the *Mtkvari-Araksi* civilization over the Mesopotamian one (*Baba-Nunu*), the identification of Babylon and *Kardukhia*, a female aspect of the god *Kaldu*, the recognition of the first names of Cyprus and Crete as *Kavtara* and *Alazia*, and that of Lesbos - *Lazba*; cyclopean ziggurats, caves, Mitannian *Kikulia*, who was the first horse breaker and the identity of a number of place-names.

I presume that some of the ancient terms used by R. Gabashvili must be sought in the archetype: the name of the Babylonian district *Khila* - *Khuila*, *Abisari* - A*pizari*, K*udur*-M*agubi* - *Kuitur-Magub/Makuba*, *Nin-Girsu* - *Nin-khirsu*/*Nina-khuirzu*, *Enetarzi* - *Enatharsi*, *Ruza/Rusa/Roza*, *Uaisi* - [*k*]*uaisi*, *Hubushkia=Hubush+K*uia, *Alabria* - *Kalabria*, *Khura* - (*a*)*khura* and so on. But the ethnic name *Khuriti*, the same as *Khuriti/Khurithi/Huriti/Kuritia* is based on and originates from *khurva = making hot*, *khuro*, *huro*, *uro*, m-*khurvale*, *khuria*/*huria*. This work of R. Gabashvili is a separate publication with comments and illustrations. The French original can be provided for those

interested.

The publication of the present summary booklet of R. Gabashvili's sizable work assumes international significance as Mr. Ardzinba and his separatist pack go out of their way to use mass media with the purpose of spreading false fantastic tales of the allegedly thousands-of-years-old aboriginal status of the Apsua people in Ap-Khar-Zaneti. The ignorant Sukhumi politicians and their bandit allies are shamelessly and cunnigly trying to use the historical biography of Pikhunia, a Thipian, also known as Tibarenian or Chan-Laz-Zan king, to age their statehood back 3500 years, the date they intend to celebrate.

The schizophrenic, fraudulent theory of the Apsua ideologists is refuted by strong scientific evidence revealed in R. Gabashvili's work.

***Amiran Tsamtsishvili-Pitskhalauri***



# ცოტა რამ რევაზ გაბაშვილზე

XX საუკუნის I ნახევარში უცხოეთში მოღვაწე ქართველ ყარიბ მეცნიერთა შორის აწ განსვენებული ბ-ნი რევაზ გაბაშვილი (6.XI.82 - 1969) ერთ-ერთი გამორჩეული მკვლევარი-მეცნიერი, მწიგნობარი, ისტორიის მჩხრეკელი და მაძიებელი მამულიშვილი გახლდათ. მწერალ ეკატერინე გაბაშვილის უფროსი ვაჟი რევაზი ახალგაზრდობიდან ჩაება ეროვნულ-პატრიოტულ მოძრაობასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. 1902 წელს დაამთავრა თუ არა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზია, მაშინვე ბელგიაში გაემგზავრა და ლიეჟის მონტეფიორეს სახელობის ელექტრო-ტექნიკურ ინსტიტუტში 3 წელი სწავლობდა. იქ და ჟენევაში, ბრიუსელში, პარიზსა და ლონდონში გაეცნო იგი ტროცკს,პლეხანოვს,მარტოვს და სხვ. საქართველოში როგორც კი დაიწყო 1905-1907 წლის რევოლუციური გამოსვლები რეზო გაბაშვილმა მიატოვა ბელგია და თბილისელ მეამბოხეთა რიგებში ჩადგა, მაგრამ რეაქციის გაძლიერებამ აიძულა 1906 წ. სხვისი საბუთებით პარიზს შეფარებოდა. 1907 წ. ისევ თბილისში დაბრუნდა, დაქორწინდა და იმავე წელს პეტერბურგს მიაშურა მეუღლითურთ. რეზო ფიზიკო-მათემატიკურზე, ხოლო მარიამი საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე მოეწყო. სამწუხაროდ 1910 წ. გარდაცვლილ ლევ ტოლსტოის გულშემატკივარ და მეამბოხე სტუდენტთა შორის შემთხვევით მოხვდა რეზოც. იგი სამ თვეზე მეტი ციხეში აყურყუტეს, შემდეგ ინსტიტუტიდან გარიცხეს და 3 წელი დააკარგვინეს.

1911 წელს რ. გაბაშვილი სამშობლოში დაბრუნდა, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საქმეებში ჩაეფლო, საქართველოს ეკონომიკურ აღორძინებაზე ზრუნავდა, უცხოელთა კაპიტალს დევნიდა, კაპიტალისტებს ავიწროვებდა კოოპერაციებით და კერძო ვაჭრობას საზოგადოებრივი ვაჭრობით. იგი გაემიჯნა სოციალ-დემოკრატებს, სოციალ-ფედერალისტებსაც და ეროვნული პარტიის შექმნაზე ზრუნავდა; დააარსა ჟურ. “კლდე” (1912-1915 წწ.) და მთელ საქმიანობას, მოვალეობას, პასუხისმგებლობას,

ორგანიზაციულ პრობლემებს აგვარებდა, სტატიებსაც წერდა და კრიტიკოსიც იყო. 1915 წლიდან "კლდე" გაზ. "საქართველოს" შეუერთდა და მთელი ძალებით 1917 წლიდან "ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიად" აქცია სპირიდონ კედიას თავკაცობით. ბ-ნი რეზო ამ პარტიის დეპუტატობას ასრულებდა დამოუკიდებელ და თავისუფალ საქართველოს პარლამენტში.

წითელ რუსთაგან 1921 წ. საქართველოს დაპყრობის შემდეგ რ. გაბაშვილი განერიდა საბჭოურ დიქტატურას, ცოლ-შვილი თბილისში დატოვა და სტამბოლს შეეხიზნა, სადაც შეისწავლა თურქული, ძველი ძეგლები, მუზეუმები, არქეოლოგიური მასალები, განძეულობა, ხელნაწერები. ამასთანავე იგი საოცარი პოლიგლოტიც იყო, რამეთუ კარგად იცოდა სპარსული და ფრანგულ-ინგლისურიც, გერმანულ-ესპანური და ქართულ-რუსულიც, რომელზედაც თავისუფლად წერდა. ცოტა ხნის შემდეგ ლტოლვილმა რევაზმა საფრანგეთში გადაინაცვლა და პარიზში დაბინავდა, სადაც მეცნიერ ზურაბ ავალიშვილს და ვიქტორ ნოზაძეს დაუახლოვდა, რომელთა შთაგონებით პოლიტიკურს გარდა ისტორიას, ეთნოგრაფიასა და არქეოლოგიასაც დაეწაფა და პარიზულ მასალებს დაუწყო ჩხრეკა. მალე, 1967 წელს ქართულად და ინგლისურად შედგენილ-გამოქვეყნებული წინამდებარე ნაშრომის ფრანგული ვარიანტი წიგნაკის სახით გამოსცა. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 1957 წელს ვ.კობახიძის მიერ ნიუ-იორკში ქართულად გამოცემულ "კრებულში" ბ-მა რეზომ გამოამზეურა პატარა, მაგრამ დიდმნიშვნელოვანი ნაშრომი: "ქართული მოდგმის წვლილი მსოფლიო ცივილიზაციაში", რომელსაც მე თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში მუშაობისას საიდუმლოდ გავეცანი სპეცსაცავში უჩუმრად, რამაც ძალზედ დამაინტერესა და ინტელექტუალური ზეგავლენა მოახდინა ჩემზე. რ. გაბაშვილის კალამს ეკუთვნის, აგრეთვე, სოლიდური მეცნიერული წიგნი "ურარტუ", რომელიც საინეტერესო ისტორიული კვლევა-ძიებაა და რომლის ვრცელი რეზიუმე "ნასიონ ჟეორჟიენ"-ში დაიბეჭდა; ჟურ. "კავკასიონში" მოთავსებულია მისი "მცირე შენიშვნა" და "ამბავი სამოთხისა" (1964, IX, 1967, XII), ხოლო 1959 წ. მიუნხენში გამოცემულმა 340 გვერდიანმა მოგონებათა კრებულმა დიდი აურ-ზაური და შეხლა-შემოხლა გამოიწვია ლოიალურ და რეაქციონერ ემიგრანტთა შორის.

ყარიბმა მეცნიერ-მკვლევარმა აქტიური და ქმედითი მონაწილეობა მიიღო პარიზის ქართველთა სათვისტომოს 1957 წლის საზეიმო სხდომაში, რომელიც ილია ჭავჭავაძის დაბადების 120 და მისი მკვლელობის 50 წელს მიეძღვნა და რომელზედაც რევაზმა ილიას ეკონომიკურ მოღვაწეობაზე ვრცლად ისაუბრა და მისი ცხოვრებისეული ეპიზოდებიც მოიგონა.

სტალინის სიკვდილის შემდეგ, როცა შინა პოლიტიკური ამინდი დათბა და საქართველოშიც გალხვა ყინული ბ-ნ რეზო გაბაშვილთან გავაბი წერილობითი კავშირი. ეს ამბავი მისმა შვილებმა - ციალამ და გურამმა გაიგეს, დამიკავშირდნენ და მცირე, უყვედრებელი წვლილი შევიტანე პარიზში მათ გამგზავრებაში. ადვილი წარმოსადგენია როგორი იქნებოდა 50 წლამდე უნახავ მამა-შვილთა შეხვედრა, სიხარული და ბედნიერება. მარტოობამ, მოუსვენარმა მეცნიერულმა მუშაობამ,

საზოგადოებრივმა მოღვაწეობამ, სიდუხჭირემ, და ბოლოს დიდმა სიხარულმაც, რაც შვილების ნახვამ გამოიწვია, ყარიბი მოხუცი ააფორიაქა, დააძაბუნა და 87 წლის ასაკში მამა უფალ ღმერთს აახლა ზეცას. 1969 წელს ცხონებული დიდი მამულიშვილი ბ-ნი რევაზ ალექსანდრეს ძე გაბაშვილი პატივით დაკრძალეს პარიზის ბანიოს სასაფლაოზე, სამშობლოს მოჭირნახულე კაცური კაცი, მოსიყვარულე პატრიოტი ჭირისუფალი, რომელიც ამაოდ არ დამაშვრალა და ბევრი სასიკეთო მიუძღვნა უცხოურ, რაც მთავარია მშობლიურ მეცნიერებას. ბუმბულად ქცეოდეს მას უცხო მიწა და ნათელში ამყოფოს ღმერთმა, ამინ!

*ამირან ცამციშვილ-ფიცხალაური.*

## REVAZ GABASHVILI - BRIEF BIOGRAPHY

The late R. Gabashvili (6.XI.82 - 1969) was one of the most distinguished erudite scholars, history examiners and researchers among our desolate and wandering countrymen scholars of the first half of the XX century. Revaz, the eldest son of Ekaterine Gabashvili the writer, got involved in the national-patriotic movement and social activities from early childhood. In 1902 upon the completion of the Tbilisi Gymnasium for Aristocracy he went to Belgium and studied at the Montephiore Electro-Technical Institute for three years. It was in Belgium, as well as in Geneva, Brussels, Paris and London that he got acquainted with Trotsky, Plekhanov, Martov and others. No sooner had the revolutionary upheaval of the 1905-1907 started in Georgia than Rezo Gabashvili left Belgium and joined the rebels, but the increased reaction forced him to seek shelter in Paris with forged documents. In 1907 he returned to Tbilisi, got married and left for St.Petersburg with his wife. Rezo was enrolled at the Faculty of Physics and Mathematics, and Mariam - at the Faculty of Humanities. Unfortunately, Rezo happened to be arrested together with the rebel students supporting the recently deceased Leo Tolstoy and he was kept in prison for over 3 months, and was then expelled from the Institute, which resulted in the loss of three years' work.

1911 saw R. Gabashvili's return to his homeland. He was immediately immersed in the social and political life of the country and gave an unceasing care and attention to the resurrection of Georgia's economy. His main concern was to drive foreign capital away and therefore, attempted to restrict capitalists and private trade through cooperatives and social commerce. He left the Social-Democrats and Socialist-Federalists and thought of creating a national party. In 1912 he founded and managed the magazine "Klde" ("Cliff", A.M.) till 1915. He was responsible for all the organizational problems, wrote articles and acted as a critic. In 1915 "Klde" joined the newspaper "Sakartvelo"(Georgia, A.M.) which from 1917 was turned into a "National-Democratic Party" under Spriridon Kedia's leadership. Rezo Gabashvili was a Party representative in the Parliament of Independent Georgia.

After 1921, when Georgia was occupied by Red Russia, Rezo Gabashvbili escaped from Soviet dictatorship, left his family in Tbilisi and found shelter in Istanbul where he studied the Turkish language, ancient monuments, museums, archaeological materials, treasures and manuscripts. At the same time he was a stunning polyglot. He spoke and wrote Persian, French, English, German, Spanish, Georgian and Russian well and employed them in writing. Some time later the refugee, Revaz moved and settled in France, where he got to know Zurab Avalishvili and Victor Nozadze. They inspired him to study history, ethnography and archaeology in addition to politics and Rezo

started examining Parisian material. Soon, in 1967 he published the French version of the present work executed in Georgian and English. It is noteworthy that back in 1957 Rezo published a short but significant work entitled "Contribution of the Georgian Race to World Civilization". While working in a special section of the Public Library I secretly got acquainted with this work. It interested me greatly and I had a lasting intellectual impact. R. Gabashvili is also the author of a sizable research work "Urartu". It is an interesting historical study whose summary was published in "National Georgian". Furthermore, the journal "Kavkasioni" (1964, IX,1967, XII) bore his "Small Note" and "The Story of the Garden of Eden", and his 1959 Munich publication of 340 page strong collection of his memories caused a big *row* and controversy among the loyal and reactionary emigrants.

In 1957 the homeless scholar took an effectively active part in the official opening ceremony of the Georgian community living in Paris . The ceremony was dedicated to the commemoration of Ilia Chavchavadze's 120th birth and 50th death anniversaries. Revaz spoke extensively on Ilia's economic activity and recalled some episodes from his life.

After Stalin's death, when the political climate got warmer and the ice was broken in Georgia as well, I managed to establish correspondence with Mr. Gabashvili. Having found out about it, his children Tsiala and Gurami contacted me and I contributed in facilitating their trip to Paris. After nearly 50 years of separation it is easy to imagine how happy and joyful the father and children get-together was. Single life, untiring research work, social activity, hardships and finally the great joy caused by the reunion with his children excited and weakened the homeless old man and at the age of 87 he passed away. It was with great honors that in 1969 Mr. Revaz Gabashvili, the great son of his country, a passionate patriot, a *true* man who cared about and loved his homeland was buried in the Banio cemetery in Paris. But he had not worked in vain and his contribution both to foreign, and more importantly, to his native scholarly thought is great. Let the earth of a foreign land be as light as feather for him and let his sole repose in light, Amen!

***Amiran Tsamtsishvili-Pitskhalauri***

ავტორის წინასიტყვაობა

ეს წიგნაკი არის მხოლოდ მოკლე შინაარსი ამავე სათაურიან წიგნისა და შეიცავს მხოლოდ ავტორის დასკვნებს. მე ხაზს ვუსვამ, რომ ყველა უცხო სახელი ფონეტიკურად არის დაწერილი და ფრანგული მართლწერით, რადგან ფრანგული ანბანი ვერ გამოსთქვამს ყველა უცხო ბგერას.

მაგალითად, ***x*** გამოითქმის როგორც *ხ - ხარკოვი, ხოროში* და ა.შ., ან როგორც ესპანური ***j*** გამოითქმის სიტყვაში ***Jose***.

***Q*** გამოითქმის, როგორც, მაგალითად ***Q, q*** ლათინური ***aqua***.

***J*** გამოითქმის, როგორც ინგლისურ სიტყვებში ***James, general***.

***H, h*** გამოითქმის ძლიერი ასპირაციით, როგორც იაპონური ***Hiro-Hito.***

***Tch*** იკითხება, როგორც ***ch*** ინგლისურში. მაგ. სიტყვაში ***Churchill***, ან როგორც ბერძნულში.

***Tz, ts*** წაიკითხება, როგორც ლათინური ***Cicero***, ან გერმანული ***Zu, Zoo***.

***U, u*** გამოითქმება, როგორც ფრანგული ***ou*** და ა.შ.

რადგან ნივთიერი საშუალება არა მქონდა წიგნის მთლიანად დაბეჭდვისა, მომეყვანა ყველა დამადასტურებელი საბუთი და ასეულობით დასურათება ჩემი დასკვნების გასამართლებლად, იძულებული ვარ მოკლედ მოვჭრა.

*რ.გ.*

## FOREWORD

The present booklet presents a brief summary of a sizable book with the same title and contains only the conclusions reached by the author. I stress the fact that all the proper names are phonetically spelt with French orthography because the French alphabet cannot express all foreign sounds.

E.g. ***x*** is pronounced as ***kh*** in ***Kharkov, khorosho***, etc., or as Spanish ***j*** in ***Jose.***

***Q*** is pronounced as, for instance, ***Q, q*** in Latin ***aqua.***

***J*** is read as in English ***James*** and ***general***.

***H, h*** is pronounced with strong aspiration as in Japanese ***Hiro-Hito.***

***Tch*** is read as English ***ch***. E.g. in the word ***Churchill***, or as in Greek.

***Tz, ts*** must be pronounced as in Latin ***Cicero***, or German ***Zu, Zoo***.

***U, u*** - is pronounced as French ***ou***, etc.

As I had no financial means to print the whole book and present all the evidence and hundreds of illustrations to prove my conclusions, I have to be brief.

***R.G***

# კავკასიური რასის წვლილი მსოფლიო ცივილიზაციაში

დაახლოებით 1910-1912 წლებში მრავალი შეხვედრის, მსჯელობის და ნაწილობრივი თანამშრომლობის გამო სამ მეცნიერ-არქეოლოგთან, იმავე დროს ისტორიკოსთან და ლინგვისტთან: ივ. ჯავახიშვილთან, ნიკო მართან და ექვთიმე თაყაიშვილთან, თბილისის, კონსტანტინეპოლის, ბერლინის, მიუნხენის, პარიზის და ლონდონის მუზეუმების, აგრეთვე სპარსეთის, ერაყის და თურქეთის განძების პარიზული გამოფენების წყალობით[1], და ბოლოს, დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის სხვადასხვა ენებზე გამოქვეყნებული წიგნების, ასეულობით არქეოლოგების, ლინგვისტების, ისტორიკოსების, ნუმიზმატიკოსებისა და სხვათა შრომების 25-30 წლიანი შესწავლის შედეგად დაწერილ ჩემს წიგნში *კავკასიური რასის წვლილი მსოფლიო ცივილიზაციაში* - მე მიველ შემდეგ დასკვნებამდის:

1 - ბიბლიური სამოთხის მდებარეობა მიაჩნდათ ორი მესოპოტამიის (შუამდინარის) სათავეებთან: ერთ მხარეს ტიგრისა და ევფრატის (მესოპ. 1), მეორე მხრივ კი - მტკვარის და არაქსის (მესოპ. 2) - ოთხივე მდინარე სათავეს გეოგრაფიულად იშვიათი ბუნების ძალიან მცირე მონაკვეთზე იღებს (დაბადება, მეორე მოთხრობა)[2].

2 - იმ უცნაურად აკვიატებული აზრის საპირისპიროდ, რომ «ყველა თანამედროვე ერი საიდანღაც უნდა მოდიოდეს» დღევანდელ ადგილზე დამკვიდრებამდის, ამ სამოთხის ქვეყნის (კავკასია, არარატი, ზაგროსი) მცხოვრებნი არსაიდან არ მოსულან, რადგან ასი ათასი წლის წინათ დაიბადნენ ადგილობრივ, გამრავლდნენ, მოედვნენ და განვითარდნენ ორივე მესოპოტამიის გაყოლებით (სადაც უნდა გაჩენილიყო პირველი Homo sapiens-იც).

3 - ეს მოსახლეობა, ქრისტეშობამდე 3000 წლის წინ მოდებული «კავკასიიდან სპარსეთის ყურემდე და ინდოეთიდან იბერიის ნახევარკუნძულამდე (ესპანეთი), მაღალი ცივილიზაციის მქონე და ერთ ენაზე მოლაპარაკე ერთი კავკას-ქალდეური რასისაგან შედგებოდა»[3].

4 - ეს «ერთად-ერთი ენა» (ჰაიდ კლარკის, ნ. მარის, ძველი აღთქმის და სუმერული

---

[1] სიმდიდრე, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო თანამედროვე ქვეყნებთან და ამ ხელოვნების განძის შემქმნელთა შემდეგ 1000-2000 წლის შემდეგ არსებობდნენ.

[2] ეს აზრი არც ახალია და არც ჩემს ორიგინალურ შეხედულებას წარმოადგენს. მე მხოლოდ დამამტკიცებელი საბუთები მომყავს.

[3] ჰაიდ კლარკი.

# CONTRIBUTION OF THE CAUCASIAN RACE TO WORLD CIVILIZATION

Between about 1910-1920 as a result of a number of meetings and partial co-operation with three scholars-archaeologists as well as linguists and historians - Iv. Javakhishvili, Nick Marr and Ekvtime Takaishvili, my visits to the Tbilisi, Constantinople, Berlin, Munich, Paris and London museums as well as Persian, Iraqi and Turkish exhibitions held in France[1] and the 25-30-year long study of different works published in Eastern and Western European languages written by hundreds of archaeologists, linguists, historians and numismatists and others, in my book ***Contribution of the Caucasian Race to World Civilization***, I came to the following conclusions:

1 - The location of the Biblical Garden of Eden was acknowledged to be between the sources of two mesopotamias: on the one hand, the Tigris and the Euphrates (Mesopotamia 1), and on the other hand - the Mtkvari and Araksi (Mesopotamia 2). All the four rivers start on a geographically very small territory with a natural environment of exceptionally rare beauty (Genesis, Story 2)[2].

2 - Contrary to the strangely insistent presumption that "all nations have come from somewhere" to their present place of habitation, the inhabitants of this country of Paradise (the Caucasus, Ararat and Zagros) did not come from anywhere as they had been born there hundreds of thousands of years ago: multiplied, spread and developed along both mesopotamias (where, perhaps, the first Homo Sapiens emerged).

3 - In 3,000 B.C. this population, spread «from the Caucasus to the Persian Gulf and from India to the Iberian Peninsula (Spain), was made up of a single Caucaso-Chaldean race who possessed a high level of civilization and spoke one language»[3].

4 - This «single language» (Hyde Clark, N. Marr, the Old Testament and Sumerian inscriptions), which was genetically related to Caucasian (S.L. Woolley, G. Contenau, Iv. Javakhishvili, M. Tsereteli), Urartian, Babylono-Chaldean and Sumero-Chaldean languages (M. Tsereteli, B.B. Piotrovski, S.L. Woolley, G. Contenau, the Academy of Sciences of Georgia)[4] should not be understood as H. Clark's «Palaeo-Georgian»; it should be understood as a common language of the then population (the same language of multitudes of tribes of the same Caucaso-Chaldean race), a key for all the

[1] The wealth that had nothing in common with modern countries which existed 1,000-2,000 years after the creators of this treasure.

[2] This idea is neither new nor is it my original concept. I provide only supportive evidence.

[3] Hyde Clark.

[4] See the bibliography.



სურ. 1 (Fig. 1)



სურ. 2 (Fig. 2)

ამ ოთხი ადამიანის სურათი [მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ორეულები (სურათები: 1, 2) შეიძლება ათობით შეგხვდეთ საქართველოშიც და საფრანგეთშიც] იმ მიზნით მოვიყვანე, რომ მეჩვენებინა, როგორი ნაზი, მკაფიო და ცოცხალი გამომეტყველებით (სურ. 1) შეეძლოთ ქალდეო-კავკასიელებს მაგარ დიორიტში უიარაღოდ კვეთა 5000 წლის წინ. ისინი არა მარტო რომაელ იმპერატორთა და ზოგიერთი ბერძნული ღმერთის ქანდაკებას, არამედ XVII საუკუნის უდიდესი სტრატეგის გ.ს. თარხან-მოურავის (სურ. 4) და ჩვენი XVIII საუკუნის დიდი პოეტის ბესიკის (სურ. 3) სურათებსაც კი სჯობიან. ეს ოთხივე ერთი და იგივე რასისა არიან.

წარწერების მიხედვით), კავკასიურ (ს.ლ. ვულის, ჟ. კონტენოს, ივ. ჯავახიშვილის, მ. წერეთლის და სხვათა მიხედვით) და ურართუს, ბაბილონ-ქალდეურის და სუმერო-ქალდეურის მონათესავე ენა (მ. წერეთლი, ბ.ბ. პიოტროვსკი, ს.ლ. ვული, ჟ. კონტენო, "საქართველოს მეცნიერებათა აკადემია")[4], არ უნდა გავიგოთ, როგორც ჰ. კლარკის «პალეოქართული»; იგი უნდა გავიგოთ, როგორც ბაბილონის კოშკის დანგრევამდის არსებული მოსახლეობის საერთო ენა (ერთი და იგივე კავკას-ქალდეური რასის მრავალი ტომის საერთო ენა), გასაღები ერთი და იგივე კავკას-ქალდეური რასის ყველა ხალხისათვის. სინამდვილეში ენათა აღრევა საუკუნეების, ათასწლეულების შემდეგ მოხდა დიდი მანძილების, დაშორების და სხვა ადგილობრივ კილოკავებთან შერევის გამო. ენა ნელი ევოლუციით იცვლებოდა და მოხდა ისე, რომ ბოლოს ერთმანეთს დაშორებულ ტომებს ერთმანეთის აღარ ესმოდათ.

5 - არქეოლოგიური გათხრების შედეგად მეორე მესოპოტამიის (მტკვარ-არაქსის) ცივილიზაცია ერთი საუკუნით გვიან იქნა აღმოჩენილი[5], მაგრამ მრავალი ნიშნის მიხედვით იგი პირველზე (ტიგრ-ევფრატის ცივილიზაცია) ურფო ადრინდელია.

6 - ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტია ის, რომ დღესაც არსებობს ერთი ცოცხალი ერი, ლიტერატურული ცოცხალი ენით, რომელსაც თავისი ლექსიკონის განძში

---

[4] იხ. ბიბლიოგრაფია.

[5] მეორე მესოპოტამიის სათავესთან აღმოჩენილ იქნა ქვის ხანის ყველა პერიოდის (პალეო-, მეზო-, ნეო-, ენეოლითური) ნანგრევ-ნარჩენები ხიმინჯებიანი კონსტრუქციებით, კერამიკით, სპილენძის, ბრინჯაოსა და ვერცხლის საგნებით და ა.შ., რომლებიც თავისი სიძველით ჰალაფის, უბეიდის, სუზას, ანუს, ჯემდეთ ნასრისა და სხვ. უახლოვდებოდნენ.



სურ. 3 (Fig. 3)

I present these four photos [though one can meet their doubles (Fig-s. 1,2) in dozens both in Georgia and France] to demonstrate how gently, clearly and with what live expression Chaldeo-Caucasians could carve without instruments in strong diorite 5,000 years ago (Fig. 1). They surpass not only the sculptures of Roman emperors and even some of the sculptures of Greek gods but they are even better than the drawings of the XVII century greatest strategist Tarkhan-Mouravi (Fig. 4) and our XVIII century poet Besiki (Fig. 3). These four are of the same race.



სურ. 4 (Fig. 4)

tribes of the same Caucaso-Chaldean race existing before the fall of the Tower of Babel. In reality the divergence of languages occurred owing to long distances and long spans of time as well as to the mixing up with local dialects. Language change was a slow evolution and in consequence separated tribes ceased to understand each other.

5 - According to numerous facts and signs the civilization of the Second Mesopotamia (the Mtkvari-Araksi) was prior to the first (the Tigris-Euphrates) though archaeologically the former was discovered a century later[5].

6 - The most significant fact is that today there still is a living nation with its live literary language, preserving the treasury not only of the Sumero-Babylono-Urartian vocabulary, expressions, grammar rules and forms but also those of other living nations. This is the Georgian language with its ideal alphabet[6], rich, flexible and logically structured grammar and rules.

7 - The nation, the state, the Georgian nationality is a new «apanastas» or resurrection of the old Caucaso-Chaldean race with its later Chaldean, Ur-Urukian, Babylono-Kardukhian and Urartu-

---

[5] Ruins of constructions on stilts of all Stone Age periods (Palaeo-, Meso-, Neo-, Eneolithic) were found at the source of Mesopotamia 2; ceramics, copper, bronze and silver objects and the like, which come close to Halaf, Ubaid, Susa, Anu, Jemdet Nasr and others in their antiquity were also unearthed.

[6] Each sound corresponds to a single letter and vice versa; no long sounds, no silent sounds, no diphthongs or diacritic marks.



სურ. 5 (Fig. 5)



სურ. 6 (Fig. 6)



სურ. 7 (Fig. 7)

სურ. 5 - დედოფალი შუბად(-ი). ქართულად «ლანსიერ»-ი, როგორც ათენა. 5000 წლის ძილის შემდეგ ქალდეის ურში, ს.ლ. ვულის და მისი მშვენიერი მეუღლის «არქეოლოგიური» კოცნის შედეგი. რაც შეეხება მის გრანდიოზულ დაკრძალვას, იხილეთ გვ. 12.

სურ. 6 - ნაბუქოდონოსორი (604 - 562 ქ.წ.), რომლის ნამდვილი სახელი ა. პაროს მიხედვით *ნაბუ-კუდური-უტუ-ურ*[6] - ოთხი ქალდეო-კავკასიური სახელისაგან შედგება. ისტორიკოს ბეროზის (ღვთაება მარდუხ = ქარდუხი-ს ქალდეველი ქურუმი) მიხედვით ნაბუქოდონოსორი იყო ტახტის მემკვიდრეც და «თანა-მეფეც», რაც დინასტიურ კანონად ურართუში და ხშირად საქართველოშიც იდო.

სურ. 7 - გილგამეში (ლუვრის მუზეუმი) ურუკის (ბიბლიური ერეხი) პირველი დინასტიის მე-5 მეფე, კულაბის მთავარი, პირველი გენიალური პოემის გმირი, სამსონის, ჰერკულესის და სხვათა პროტოტიპი ქართულ, პალეო-ქართულ სახელს ატარებს, *კამჩის-გული* ანუ *გულკამჩა*, ისევე როგორც გოდფრუა დე ლიონი იყო «ლომგულა».

სურ. 8 - ასირიული ღვთება მარდუხი (ქალდეური ღვთაება *კარდუხის* ორეული...რ. გ.). თავზე ბუმბულიანი გვირგვინით, მარცხენა ხელში სკიპტრით, მარჯვენაში - ჩანგით (harpe), ტანსაცმელზე გამოსახული ვარსკვლავებით. დოქტ. ჟ. კონტენოს აზრით აქ წარმოდგენილია «ქალდეური ღვთაების ყველა ნიშანი, გვერდზე მისი მუდმივი სიმბოლო *გველეშაპით*. აი, ეს *გველეშაპია* გამოხატული საბრძოლო და სამუშაო იარაღებზედ, ქამრებზედ, ფირფიტებზედ» და ა.შ., როგორც ბაბილონ-კარდუხიის ხანაში, ისევე ათასობით საქართველოსა და კავკასიაში.

სურ. 9 - ბრინჯაოს ბალთა 1942 წლის თრიალეთის გათხრებიდან (შ. ამირანაშვილი, თბილისის მუზეუმი).

შემონახული აქვს არამც თუ სუმერო-ბაბილონ-ურართული, არამედ სხვა ცოცხალი ერების გამოთქმები, გრამატიკული კანონები და ფორმები. ეს არის ქართული ენა, თავისი იდეალური ანბანით[7], მდიდარი, მოქნილი და ლოგიკურად აწყობილი გრამატიკული წესებით და კანონებით.

7 - ერი, სახელმწიფო, ქართული ეროვნება წარმოადგენს ძველი კავკას-ქალდეური რასის, მისი შემდგომი ქალდეურ, ურ-ურუკის, ბაბილონ-ქარდუხიის და ურართუ-ქალდეას ახალ «აპანასტას»-ს ანუ «აღორძინებას»[8]. 3000 წლის წინათ და უფრო

---

[6] ბორსიპას წარწერა ვიგურუს მიხედვით.

[7] ყოველი ბგერა ერთ ასოს შეესაბამება და ყოველი ასო ცალკეულ ბგერას; არავითარი გრძელი ბგერა, არავითარი მუნჯი ასო, არავითარი დიფთონგი და არავითარი დიაკრიტული ნიშანი.

[8] თავისი შვილებით ლეკოს, ეგროს და სხვანი (კავკასიის ტერიტორიული ეპონიმები *ქართლის ცხოვრების* მიხედვით) კავკასიას მოსული პირველი კაცი იყო ქართ-(უ)-ლოს, რომელმაც დააარსა პირველი ქართ-(უ)-ლი ქალაქი, რომლის ნანგრევებიც მცხეთასთან ახლოს იქნა აღმოჩენილი; ეს უკანასკნელი 2500 წლის წინ დაარსდა და საქართველოს რელიგიურ ცენტრს წარმოადგენდა.



სურ. 8 (Fig. 8)



სურ. 9 (Fig. 9)

Fig. 5. Queen Shubat-i. «Lancier»-i in Georgian, like Athena.
The result of an «archaeological» kiss between S.L. Woolley and his beautiful wife in the Ur of Chaldea 5,000 years later. As to her grandiose funeral see p. 12.

Fig. 6. Nebuchadnezzar (604 - 562 B.C.) whose real name *Nabu-Kuduri-utu-ur*[7] according to A. Parrot and Vigouroux consists of four Chaldeo-Caucasian names. According to Berosus (a Chaldean priest of god Marduk - Kardukh) Nebuchadnezzar was an heir to the throne and a «co-king» at the same time, which was frequent dynastic rule in Urartu and Georgia too.

Fig. 7. Gilgamesh (Louvre), the 5th king of the First Dynasty of Uruk (Biblical Erech), the ruler of Kulab, the first hero of the genius epic, the prototype of Samson and Hercules and others, bears a Georgian, a Palaeo-Georgian name, «the heart of the bull» or «gulkamecha» like Godefroy de Lion who was the «Lionheart).

Fig. 8. Assyrian god Marduk (the double of Chaldean god Kardukh... R.G.) with a feather crown on his head, a scepter in his left hand and a harp in the right and with stars on his clothes. In G. Contenau's opinion he is depicted here «with all the Chaldean symbols and his constant assistant - a dragon next to him. It is this serpent that is depicted on work and war instruments, belts, tablets», etc. in the times of Babylon-Kardukhia as well as in Georgia and the Caucasus in general.

Fig. 9. A bronze belt from the Trialeti excavations of 1942 (Sh. Amiranashvili, Tbilisi State Museum).

Chaldean resurrections[8]. All the four presented an inseparable unity in 3,000 B.C. and even much earlier than that.

8 - About 3,000 B.C. a different race, the Semites started infiltrating into the geographically and politically unified territory of the god Kaldu situated between four seas (Black, Caspian, Persian Gulf and Mediterranean). This active minority devoid of all creativity, slowly strengthened its positions. Being militarily better equipped and having a better discipline they (the Semites, A.M.) claimed their territory, adopted their religion (only the names of the gods were changed), appropriated their art, writing and their civilization (culture) in general; they «created only insidious generals and bloodthirsy warriors»[9] (G. Maspero) and created the first empire in the world headed by Sargon I.

During the second millennium B.C. other minority groups started encroaching upon the same

---

[7] The Borsippa inscription by Vigouroux.

[8] According to the *Kartli Chronicles* the first man who came to the Caucasus with his sons Lekos, Egros and others (eponims of different Caucasian regions) was Kart-(u)-los, who founded the first Kart-(u)-li» city. The ruins of the city were found near Mtskheta, a religious center established 2,500 years ago.

[9] G. Maspero.

ადრეც ქრისტეშობამდე ოთხივენი განუყოფელნი იყვნენ.

8 - ქრისტეშობამდე დაახლოებით 3000 წლის წინ ოთხ ზღვას (შავი, კასპიის, სპარსეთის უბე და ხმელთაშუა ზღვა) შუა მდებარე ღმერთ ქალდუს გეოგრაფიულად და პოლიტიკურად თანდათან გაერთიანებულ მიწა-წყალზე, დაიწყო სხვა რასის, სემიტების შეხიზვნა. ყოველნაირ შემოქმედებით ნიჭს მოკლებული ეს მოქმედი უმცირესობა, ნელი-ნელ იკიდებდა ფეხს. მხედრულად უკეთესად გაწყობილმა და უკეთ შეიარაღებულმა დისციპლინით დაიჩემა დამხვდურების მიწა-წყალი,მათი სარწმუნოება (გამოცვალა მხოლოდ ღმერთების სახელები), მიითვისა მათი ხელოვნება, დამწერლობა და საზოგადოდ მთელი მათი ცივილიზაცია (კულტურა); «შეჰქმნა მხოლოდ ვერაგი გენერლები და სისხლისმსმელი მეომრები»[9], შეჰქმნა მსოფლიოში პირველი იმპერია სარგონ I-ის მეთაურობით.

